ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი
Poti Municipality Service Center

ქ. ფოთი დ. აღმაშენებლის N12 ტელ: +995 (568) 77-67-67 potimsc@gmail.com N12 D.Agmashenebeli str., Poti Tel: +995 (568) 77-67-67

N 69

ქ. ფოთი

19 თებერვალი 2020 წელი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ გოჩა კურდღელიას

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელს ბატონ აკაკი დარჯანიას

გიგზავნით ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის 2019 წლის ანგარიშს.

დანართი 9 ფურცელზე

პატივისცემით,

დირექტორი ზვიად აფხაზავა

415101507

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვიდების ცენტრი

2019 წლის ანგარიში

1. სტრუქტურა

ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი" შეიქმნა ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 7 დეკემბრის #902 ბრძანების საფუძველზე.

ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი" მუშაობას შეუდგა 2018 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული ორგანიზაცია აერთიანებს მომსახურების რამოდენიმე სფეროს, მათ შორის:

1. ქუჩების დაგვა -დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა (მერიისა და სხა ადმინისტრაციული შენობების მოვლა პატრონობისა და დალაგების მომსახურება)
2. გამწვანებითი სამუშაოები, სკვერების მოვლა-პატრონობა,
3. ქალაქის ქუჩების გარე განათების მოვლა-პატრონობა.
4. უმეთვალყურეოდ დარჩენილი პირუტყვის კონტროლი
5. მოსაკრებლის ადმინისტრირების განყოფილება
6. სანიაღვრე არხებისა და სატუმბი სადგურების მოვლა პატრონობა
7. საბინაო ფონდის მოვლა -პატრონობა
8. ასევე შეიქმნა საქმიანი ეზო რომელიც სხვა განყოფილებებთან ერთად ახორციელებს ქალაქის საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა სამუშაოების შესრულებას.
9. ქალაქის ქუჩების მოვლა პატრონობა (ქალაქის ქუჩების დაგრეიდერება)

2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 262 კაცს

2. ბიუჯეტი

- ა(ა) იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი"-სათვის 2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში ზემოთხსენებული სამუშაოების და მომსახურებების გასაწევად ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნა - 2 400 900 ლარი, აქედან შორის შრომის ანაზღაურებაზე 1586100ლ (ფაქტიურად ათვისებულ იქნა 1586100 ლარი), შტატგარეშე თანამშრომლების ანაზღაურებაზე 36800 ლ (ათვისებულ იქნა 36700 ლარი) , ოფისის ხარჯებზე-57 000 ლარი (ფაქტიურად ათვისებულ იქნა

36 500 ლარი), რბილი ინვენტარის და უნიფორმის შესაძენად 2000 ლ (ათვისებულ იქნა 2000 ლარი), ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლუატაციაზე და მოვლა-შენახვის ხარჯებზე -

472500 ლ (ათვისებულ იქნა 472500 ლ), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება -253300 ლ (ფაქტიურად ათვისებულ იქნა -253000ლ) , არაფინანსურ აქტივებზე - 9700 ლ (ათვისებულ იქნა 9 700 ლარი), მივლინებაზე 300 ლ (ფაქტიურად ათვისებულ იქნა -300 ლ), სხვა ხარჯებზე (დაზღვევაზე) – 3 200 ლ (ათვისებულ იქნა - 3200 ლარი)

სულ 12 თვეში გამოყოფილი -2420900 ლარიდან ფაქტიურად ათვისებულ იქნა (ფაქტიური დაფინანსება) -2420000 ლარი

ასევე საწარმოს საკუთარი შემოსავლებიდან გამოყენებულ იქნა -127928 ლარი

12 თვეში ფაქტიური ხარჯი შეადგენდა 2 474 867 ლარს

3. შესყიდვები

საწარმო ყველა სახის შესყიდვებს ახორციელებს საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"-ის შესაბამისად. მ/წლის 12 თვის განმავლობაში ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელებულ შესყიდვებზე გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება 34 მომწოდებელთან -სულ 608405 ლარზე, ხოლო გამარტივებული ტენდერით 234 ხელშეკრულება 608232 ლარზე. ფაქტიურად მ/წლის 12 თვეში ჯამში განხორციელდა 860030 ლარის (421253,02+438776,66=860030) შესყიდვა

4. უსაფრთხოება

საწარმოს თანამშრომლებისთვის საჭიროებისამებრ შეძენილ იქნა პირადი დაცვის (სპეცტანსაცმელი, სამუშაო ხელთათმანები, სპეცფეხსაცმელი, უსაფრთხოების ქამარი) და ჰიგიენური საშუალებები (საპონი).

ყველა თანამშრომელი თითქმის სრულად არის უზრუნველყოფილი დაკავებული პოზიციის შესაბამისად საჭირო ინვენტარით და მოწყობილობით

ჩატარდა სამუშაოები შრომის დაცვისა და უსაფრთხოების მიზნით:

- სატუმბ სადგურებზე განახლებულ და დატანილ იქნა უსაფრთხოების სტიკერები
- ნაგვის ურნებზე დატანილ იქნა შეაბამისი სტიკერები
- ინდივიდუალურად ა(ა)იპ-ში შემავალი განყოფილებების ყველა თანამშრომლისთვის ჩატარებულ იქნა და პერიოდულად ტარდება შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი, რომელიც ფიქსირდება ყოველკვარტალური ინსტრუქტაჟის ჟურნალებში.

5. სამოქმედო გეგმა

საწარმოს ყველა განყოფილება მუშაობას ახორციელებს დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, ასევე გეგმის გარეთ საწარმოო და საქალაქო აუცილებლობიდან გამომდინარე რეაგირებას ახდენენ ცალკეულ შემთხვევებზე. (მოქალაქეთა განცხადებებზე).

ქუჩების გარე განათების, სახიაღვრე არხების, საბინაო ფონდის მოვლა პარტონობის და გაძწვანების განყოფილებები ძირითადად მუშაობენ როგორც სპეციალისტების ინსპექტირების შედეგად დაგეგმილი გრაფიკის შესაბამისად., ასევე მოსახლეობიდან და ორგანიზაციებიდან შემოსული შეტყობინებების (რომელიც ფიქსირდება ყოველდღიურად სპეციალურ ჟურნალებში და ოპერატიულად გადაეცემათ შესაბამის სამსახურებს) მიხედვით.

6. საქმიანი ეზო

ა(ა)იპ-ის ბაზაზე შეიქმნა საქმიანი ეზო, რომელიც სხვა განყოფილებებთან ერთად ახორციელებს ქალაქის საჭიროებიდან გამომდინარე სამუშაოების შესრულებას.

სახელდობრ, მ/წლის 1 წლის განმავლობაში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

ქალაქის მაშტაბით შეკეთდა დაზიანებული ღობეები, დამონტაჟდა ვიდეოთვალის მისამაგრებელი ბოძები, ერთეულ ადგილებში საგზაო ნიშნები დაგამაფრთხილებელი ნიშნები,დამონტაჟდა დაშეკეთდა მაგიდები, სკამები, დაიგო ფილები, შეკეთდა ბორდიურები დ აშეიღება სკვერებში არსებული ინფრასტრუქტურა. შეკეთდა წყლის საწრეტი მილები, ასევე განხორციელდა ცოტნე დადიანის ძეგლთან წყალგაყვანილობის სისტემის შეკეთება/აღდგენის სამუშოები, ასევე, განათების ელ კაბელის აღდგენის სამუშაოები.

-აღმაშენებლის ქუჩაზე, ნიკოლაძის სანაპიროზე, რეკვავას ქუჩაზე, სამეგრელოს მოედანზე, კოსტავას უჩაზე, სამეგრელოს ქუჩაზე, წმ. გიორგის ქუჩაზე, რუსთაველის რკალზე, აკაკისა და გურიის ქუჩებზე რსებული განათების ბოძები და კორპუსები გაიწმინდა მათზე გაკრული სხვადასხვა საინფორმაციო ანცხადებებისაგან

ასახელებულ სამუშაოებზე სულ 12 თვეში გახარჯულ იქნა 6416 ლარი

7. გამწვანების სამსახური

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში -მ/წლის 12 თვეში ქალაქის მასშტაბით გაითიბა მწვანე საფარი, როგორც ქუჩებში, ასევე სკვერებსა და პარკებში- სულ 2 052 537 კვ.მ . მოიჭრა 88 ძირი ხე, გადაიბელა 19 ხე და შეისხეპა 1228 ძირი (მათ შორის 122 ხე, 286 ძირი პალმა, 413 ბუჩქი, 191 ტუია, 24 ჰორტენზია, 76 ალეანდრა, 10 დრაცენა, 106 მ ბორდიური), ასევე დამუშავდა წაქცეული და დაზიანებული ხეები. ხეების მოჭრა, გადაბელვა, დამუშავება ხდება ძირითადად მოსახლეობის მოთხოვნა-განცხადების საფუძველზე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული ნებართვით და სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით.

მოჭრილი ხეები დამორვისა და დამუშავების შემდეგ დაურიგდა მოსახლეობას. ც/პარკში განხორციელდა მიწის მასის გაშლა, ქვების შეგროვება და გატანა. ჰ/მ ტექნიკუმის მიმდებარე ტერიტორია გაიწმინდა ეკალ-ბარდებისაგან და მოხდა შეგროვილი ნაგავის გატანა.

დაირგო სხვადასხვა სახის ნარგავები და ყვავილები აღმაშენებლის ქუჩაზე, რუსთაველის რკალზე, სამეგრელოს მოედანზე, ცენტრალურ პარკში და ქალაქის ყველა მუნიციპალიტეტში -საერთო რაოდენობით - 10 336 ძირი (ბარბარისი კოწახური-წითელი-ჭრელი, ლეილანდის კიპარისი, კრაზანა, ჩიტა ვაშლა, ფიტოსფორუმი, ოვსიანიცა ვერცხლისფერი, ევონიუსი,ტუია, დეკორატიული ტირიფი, ტაგეტესი, ცინია,კოლეუსი, პელარგონიუმი)

ყოველდღიურად წარმოებს სკვერებისა და პარკების დაგვა-დასუფთავება, საჭიროებისამებრ ნარგავების ირგვლივ ნიადაგის შემობარვა და სავალი გზების ფილების ნიჩბებით გაფხეკა-გაწმენდა - სულ გაიფხიკა 26 705 კვ.მ

აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე განყოფილების ხარჯმა მ/წლის წლის 12 თვეში შეადგინა 258 045 ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ 228461 ლარი (გეგმა 264100 ლარი)

8. სატუმბი სადგურების მოვლა პატრონობა

სარემონტო, გაწმენდითი და ავანკამერების ამოწმენდითი სამუშაოები ჩაუტარდა ქალაქში განთავსებულ ყველა სატუმბ სადგურს, რის შედეგადაც გაუმჯობესებულია წყალგამტარიანობა და ყველა სადგური მუშაობს გამართულად. გაიწმინდა სატუმბებთან შემავალიმთავარი არხები და გამწოვი მილები. გაითიბა სატუმბი სადგურების ტერიტორია, გაიწმინდა თვითდინების წყლის არხი

ასევე სატუმბ სადგურებში საჭიროებისამებრ განხორციელდა სხვადასხვა პროფილაქტიკური სამუშაოები: შეზეთვა და საპოხი საშუალებებით საჭირო დეტალების დამუშავება, ელექტრო ჩამრთველ/ამომრთველების დათვალიერება, ჩამკეტი ფარების ლითონის ბაგირების შეპოხვა.

სატუმბი სადგურის მორიგეები წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით ახორციელებდნენ მორიგეობას თავიანთი უფლება მოვალეობის ფარგლებში. ხორციელდებოდა სატუმბი აგრაგატების, საკონტროლო მზომის სასიგნალო მოწყობილობების, ძალოვანი ტრანსფორმატორების, მართვის ფარების და გამშვები აპარატურების მუშაობაზე მუდმივი მეთვალყურეობა ექსპლუატაციით დადგენილი ნორმებით. კეთდებოდა ყოველდღიური ჩანაწერები მორიგეობის შესახებ.

აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე განყოფილების ხარჯმა მ/წლის 12 თვეში შეადგინა 152157 ლარი, დაფინანსებამ - 139192 ლარი, (გეგმა 178000 ლარი)

9. სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობა:

სულ 2019 წლის 12 თვეში ამოწენდილი არხების სიგრძემ შეადგინა 150 331 გრძივი მეტრი, ხოლო მაგისრალური არხებისამ -3700 გრძ.მ. სამუშაოები შესრულდა უსაფრთხოების ნორმის დაცვით, კარგად და ხარისხიანად. ამონაწმენდი მასა გატანილი იქნა ნაგავსაყრელზე. ასევე განხორციელდა სხვადასხვა სამუშაოები, კერძოდ: ხელახლა გაიწმინდა სანიაღვრე ჭები, მოხდა სანიაღვრე არხზე განთავსებული ფილების დემონტაჟი, არხი ამოიწმინდა და ფილები ისევ დამონტაჟდა. ასევე გაიწმინდა ცენტრალურ არხში ჩამსვლელი არხების შემაერთებლები. სპეც ტექნიკით განხორციელდა ერთობის ქუჩის მაგისტრალური არხის ზღვასთან დამაკავშირებელი და ვეკუას ქუჩაზე არსებული სატუმბის ზღვასთან დამაკავშირებელი არხების ამოწმენდა. განყოფილების თანამშრომლები ჩართული იყვნენ წმ.გიორგის ქუჩაზე არსებული ტექნიკუმის შენობის შიდა პერიმეტრის დასუფთავებაში, ზღვის პირას მშენებარე ბულვარის მიმდებარე ტერიტორიიდან სხვადასხვა ნარჩენების გატანაში და კუნძულ კოლიმბარის ტერიტორიის ნაწილის დასუფთავებაში. გაიწმინდა გურამიშვილის ქუჩაზე ცენტრალური მაგისტრალური არხის დამაკავშირებელი არხი -200 გრძ.მ განყოფილების თანამშრომლები ჩართული იყვნენ ცენტრალური პარკის დასუფთავების სამუშაოებში და კოსტავას ქუჩიდან სამშენებლო ნარჩენების გატანაში, ც. დადიანის ძეგლთან ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებში.

აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე სახიაღვრე არხებისა და -სატუმბი სადგურების განყოფილების ხარჯმა მ/ წლის 12 თვეში შადგინა 219474 ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ -198 468ლარი, (290 000ლარი)

10 . ქუჩების დაგვა -დასუფთავებისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის განყოფილება

ქალაქის ქუჩების დაგვა/დასუფთავებადა საყოფაცხოვრებო ნარჩენების სპეცტექნიკით გატანა წარმოებს დამტკიცებული გრაფიკის სრული დაცვით ყოველდღიურად. გარდა ამისა სუფთავდება ქალაქში შექმნილი ხელოვნური ნაგავსაყრელებიც. სანაგვე კონტეინერების დაცლა ხდება დღეში 2-ჯერ, საჭიროების შემთხვევაში სრულდება დამატებითი რეისებიც. კარდაკარ შემოვლით

მოსახლეობიდან ნაგავი გაიტანება დღეში 1- ჯერ (თითოეული ქუჩიდან ყოველ მე-2 დღეს)

თვითმცლელების საშუალებით კი ხდება ქალაქის სხვადასხვა უბნიდან საწარმოო, სამშენებლო თუ სხვა სახის ნარჩენების(ხის ტოტები, უვარგისი საოჯახო ავეჯი, ტექნიკა და სხვა) გატანა.

ქალაქში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 743 ურნა. წინა პერიოდებთან შედარებით ურნების რაოდენობის ზრდა მოხდა მოსახლეობის და ორგანიზაციების მოთხოვნის საფუძველზე, როგორც ახალ ლოკაციებზე, ასევე არსებულ ლოკაციებზე გარკვეული რაოდენობის დამატებით

აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე განყოფილების ხარჯმა მ/ წლის 12 თვეში შეადგინა 906982 ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ -914473ლ (გეგმა 907000 ლარი)

11. საბინაო ფონდი

საბინაო ფონდის და მოვლა-პატრონობის განყოფილება ძირითადად სამუშაოებს აწარმოებს მოსახლეობიდან შემოსული განცხადება-შეტყობინებების საფუძველზე (რომელიც ყოველდღიურად ფიქსირდება სპეციალურ ჟურნალში) და სისტემატიურად კონტროლდება შესრულების მიმდინარეობაც. ყოველთვიურად წარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოების ნუსხას თან ერთვის ქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მიერ სამუშაოების ნამდვილად შესრულების დამადასტურებელი აქტები სხვადასხვა უბნებში. იანვარ -დეკემბრის პერიოდში შემოსულია 664 წერილობითი განაცხადი, რომელთაგან ყველა დაკმაყოფილებულია. გარდა შემოსული განცხადებებისა სამსახურის მიერ სისტემატიურად ხდება საცხოვრებელი მასივების ტერიტორიების დათვალიერება- ინსპექტირება და საჭიროების შემთხვევაში ოპერატიული რეაგირება. ძირითადად შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: ეზოებში საკანალიზაციო ჭების, ამონიჩბვის ორმოების და საერთო სარგებლობის საპირფარეშოების გაწმენდა სპეცმანქანით, სარდაფებში, ეზოებში და სადარბაზოებში საკანალიზაციო ქსელის შეცვლა, გასუფთავება და მონტაჟი. სახელდობრ:

-460 საცხოვრებელი სახლის ეზოში გაიწმინდა საკანალიზაციო ჭები

-77 ს/სახლის ეზოში გაიწმინდა 77 ცალი საკანალიზაციო ამონიჩბვის ორმო

-15 ს/სახლის ეზოში გაიწმინდა 15 ცალი საერთო სარგებლობის საპირფარეშო

-32 ს/სახლის ეზოში გამოიცვალა საკანალიზაციო ქსელი 403,5 გრძ.მ

-1 ს/სახლის ეზოში გამოიცვალა წყლის სისტემა -40 გრძ.მ

-18 საცხოვრებელი სახლის ეზოში გამოიცვალა ფასონური ნაწილები- 42 ცალი

-15 ს/სახლში შეკეთდა და მოპირკეთდა 23 ცალი საკანალიზაციო ჭა

-1 ს/სახლში შეკეთდა 2 ცალი საკანალიზაციო ჭა

-18 ს/სახლში გამოიცვალა საკანალიზაციო ჭების რკინა-ბეტონის სახურავი -40 ცალი

-27 ს/სახლის სარდაფიდან ამოიტუმბა 4950 კუბ.მ წყალი და ფეკალური მასა

-81 ს/სახლის სარდაფში გამოიცვალა საკანალიზაციო ქსელი 588 გრძ.მ

-87 ს/სახლის სარდაფში გამოიცვალა ფასონური ნაწილები -366 ცალი

-40 ს/სახლის სართულებს შუა გამოიცვალა საკანალიზაციო ქსელი -270 გრძ.მ

-40 ს/სახლის სართულებს შუა გამოიცვალა ფასონური ნაწილები -252ცალი

-4 ს/სახლის ეზოში აშენდა 8 ცალი საკანალიზაციო ჭა

-1ს/სახლის ეზოში 1ც საკანალიზაციო ამონიჩბვის ორმოს სახურავის შეკეთება-მოპირკეთება

-10 ს/სახლის ეზოში მოისხა ბეტონის საფარი

-2 ს/სახლში სახურავიდან სადარბაზომდე საწვიმურის მონტაჟი საკანალიზაციო მილის გამოყენებით -3 გრძ.მ

-1ს/სახლის ეზოში საკანალიზაციო სისტემის დაშლა, გასუფთავება ნაგვისგან და აწყობა

-24 ს/სახლის სარდაფში საკანალიზაციო სისტემის დაშლა, გასუფთავება ნაგვისგან და აწყობა

-1 ს/სახლის სადარბაზოში საკანალიზაციო სისტემის მონტაჟი -2 გრძ.მ

-1 ს/სახლის სადარბაზოში ფასონური ნაწილების მონტაჟი -3 ცალი

-4 ს/სახლში სართულებსშუა საკანალიზაციო სისტემის დაშლა, გასუფთავება ნაგვისგან და აწყობა

-40 ს/სახლში სართულებსშუა ფასონური ნაწილების მონტაჟი -252 ცალი

-40 ს/სახლში სართულებსშუა საკანალიზაციო ქსელის მონტაჟი -270 გრძ.მ

-1 ს/სახლში სარდაფიდან ჭამდე ფასონური ნაწილების მონტაჟი-1 ცალი

-7 ს/სახლში სარდაფიდან ჭამდე საკანალიზაციო ქსელის მონტაჟი-35 გრძ.მ

-2 ს/სახლში სახურავიდან სადარბაზომდე ფასონური ნაწილების მონტაჟი -8 ცალი

დასახელებული სამუშაოების შესრულებაზე განყოფილების ხარჯმა გასული წლის 12 თვეში შეადგინა 153804 ლარი, დაფინანსებამ -148514ლ (გეგმა 175000 ლარი)

12. გარე განათება

ქუჩების გარე განათების განყოფილებაც ძირითადად სამუშაოებს აწარმოებს მოსახლეობიდან შემოსული განცხადება-შეტყობინებების საფუძველზე (რომელიც ყოველდღიურად ფიქსირდება სპეციალურ ჟურნალში). გასული წლის 12 თვეში შემოსულია 404 შეტყობინება, რომელთაგანაც დაკმაყოფილებულია ყველა. ძირითადად სრულდება შემდეგი სამუშაოები: საჭიროებისამებრ გარე განათების სანათების შეცვლა, პროჟექტორებისა და ელექტრო-გამანაწილებელი კარადების შეკეთება/შეცვლა, დაზიანებული ლითონის ბოძების აღდგენა ან ახლით შეცვლა, სადენების შეერთების შემოწმება, კაბელის იზოლაციის წინაღობების შემოწმება, კაბელის დაზიანებული ნაწილების შეცვლა, ქსელში ძაბვისა და დატვირთვის შემოწმება ,დენკვეთების დარეგულირება, კონტაქტორების დარეგულირება-შეცვლა, დამჭერების გადაჭერა, ფოტო-რელეების რეგულირება - შეცვლა. გარდა განცხადება-შეტყობინებებისა სამუშაოები ასევე ხორციელდება სპეციალისტების მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დაზიანებების აღმოსაფხვრელად.

ჯამურად ქალაქის 972 ქუჩაზე (ერთი და იგივე ქუჩა თვეში ზოგჯერ რამოდენიმეჯერ მეორდება-რადგან თვის განმავლობაში უწევთ ერთი და იგივე ქუჩაზე სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახის სამუშაოს შესრულება) სახელდობრ, გამოცვლილ იქნა:

-განათების ბურთი -128

-სოდიუმის ნათურა-1354

-დროსელი სპილენძის-1106

-ელ.ვაზნა -284

-გოფრირებული მილი -3094

-მაგნიტური გამშვები-20

-ლედის სანათის დრაივერი-114

-ეკონათურა-741

ელ. კაბელი -7662 გრძ.მ

-ლედის სანათის ჩიპი-42

-ფოტორელე-10

-ელ.მრიცხველი სამფაზიანი-6

-იგნიტორი-312

-შუალედური დამჭერი -106

-ელ.გამთიშველი-110

-ქუჩის სანათის სოდიუმის ნათურა-18

-პროჟექტორის სოდიუმის სანათი-8

-ლედის პროჟექტორი-29

-ლედის სანათი-98

-ლედის ეკონათურა -286

-კაბელის ჩამჭერი-30

-შემახორცებელი -111

მეტალოჰალოგენის ნათურა-8

ლედგანათება-(აღმაშენებლის ქუჩის ხიდის ბოძებზე განათების მოწყობა)-56

ბოქლომი -1

-სიპჩამჭერი და ანკერული ჩამჭერი-61

აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე განყოფილების ხარჯმა მ/ წლის 12 თვეში შეადგინა 242796 ლარი, დაფინანსებამ 246220 ლარი, (გეგმა 294800 ლარი)

13. მოსაკრებელის ადმინისტრირების განყოფილება

2019 წლის დასაწყისში იურიდიულ ორგანიზაციებთან 2020 წლის 01 იანვრისათვის მოქმედი ხელშეკრულებების რაოდენობა იყო 820 ერთეული. ამავე პერიოდისათვის დარეგისტრირებული აბონენტების რაოდენობა შეადგენს 11 520.

განყოფილების წლიური გეგმა არის 550 000 ლარი.განყოფილების მიერ გასული წლის 12 თვეში ამოღებულ იქნა 560022 ლარი, ანუ წლიური გეგმა შესრულდა 101,8%-ით.

აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე განყოფილების ხარჯმა გასული წლის 12 თვეში შეადგინა 120511 ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ 121072 ლარი, (გეგმა 135000 ლარი)

14. უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების კონტროლის განყოფილება

უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების კონტროლის განყოფილების თანამშრომლების მიერ 2019 წლის 12 თვეში გამოვლენილ იქნა უმეთვალყურეოდ დარჩენილი, ქალაქის სხვადასხვა უბანში მოხეტიალე ცხოველების დაფიქსირების 125 შემთხვევა 226 სულ პირუტყვზე. განხორციელდა აღნიშნული ცხოველების განდევნა ან მათი იზოლაცია - გადაყვანა სპეციალურ სადგომებში. განყოფილება სისტემატიურად აწარმოებდა ცხოველების განდევნას აკრძალული ტერიტორიებიდან და შემდგომში მუნიციპალიტეტებთან ურთიერთთანა-

მშრომლობით დგინდებოდა სავარაუდო მეპატრონეები, რომლებთანაც ფორმდებოდა შესაბამისი აქტები. სულ მეპატრონეებთან გაფორმებულ იქნა გაფრთხილების აქტები 60 შემთხვევაში (132 სულზე), ხოლო 10 შემთხვევაში (14 სულ პირუტყვზე) მოქალაქეებს დაეკისრათ ჯარიმის გადახდა - სულ გადახდილ იქნა 280 ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ მოხეტიალე პირუტყვის სპეციალური სადგომის არქონის გამო 2019 წლის ივლისის თვიდან მუშაობა განხორციელდა შემდეგნაირი მეთოდით: აკრძალულ ადგილებში მოხეტიალე დაჭერილი პირუტყვის ბირკების მიხედვით შესაბამის სამსახურში მეპატრონეთა იდენტიფიკაციის შემდეგ 55 მოქალაქეზე (80 სულ პირუტყვზე - ჯარიმის თანხა 1600 ლარი) შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები, რომლებიც შესაბამის მისამართებზე სახლებში გადაეგზავნათ მათ

აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე განყოფილების ხარჯმა მ/წლის 12 თვეში შეადგინა 41728 ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ 37729 ლარი, (გეგმა 42000ლ)

11. ქუჩების მოხრეშვა -დაგრეიდერება

წლის 12 თვეში დაგრეიდერების სამუშაოები შესრულებულ იქნა 110 ქუჩაზე (მალთაყვის უბანი-30 ქუჩა -200 808 მ^2, ცენტრის უბანი-25 ქუჩა- 124 411მ^2, კუნძულის უბანი-22 ქუჩა-180904,5 მ^2, ნაბადის უბანი -33 ქუჩა-139 292მ^2) ჯამური ფართით -645 415,5 მ^2 . აღნიშნული სამუშაოები დაფინანსებულ იქნა 82 984,01+50=83 034,01 ლარით.

12. არსებული პრობლემები და ინიციატივები

ძირითად პრობლემას ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის მუშაობაში წარმოადგენს ტექნიკის დეფიციტი და არსებული ტექნიკების გაუმართავი მდგომარეობა. აღნიშნულის გამო ხშირად ვერ სრულდება განყოფილებების მიერ ნაკისრი ვალდებულებები და გეგმასთან ჩამორჩენის თავიდან აცილების მიზნით გვიწევს სატრანსპორტო საშუალებების იჯარით აყვანა, რაც საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. ძალიან დიდ ეფექტს და ეკონომიას მისცემს ბიუჯეტს თუ

ა(ა)იპ-ს ან მერიას ეყოლება საკუთარი გამართული სატრანსპორტო საშუალებები, რომლის ექსპლუატაციაზე პასუხს აიღებს უკვე თავად სერვისების ცენტრი. ძალიან დიდი თანხები ჯდება გაუმართავი სატრანსპორტო საშუალებების შეკეთება/რემონტი და იჯარა. კარგი იქნება თუ მომავალში ფოთის მუნიციპალიტეტის მერია ორიენტირებას გააკეთებს ქალაქის საჭიროებიდან გამომდინარე გამოსაყენებელი ავტოსატრატრასპორტო საშუალებების შესყიდვაზე, რაც მნიშვნელოვან ეფექტს მოუტანს ქალაქს.

პატივისცემით,

დირექტორი ზვიად აფხაზავა